



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS  
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

მეხუთე სექცია

საქმე „გოგუაძე საქართველოს წინააღმდეგ“

(საჩივარი №40009/12)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2019 წლის 27 ივნისი

*წინამდებარე გადაწყვეტილება საბოლოოა, მაგრამ შეიძლება დაექვემდებაროს  
რედაქციულ შესწორებას*

COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE

**საქმეზე „გოგუაძე საქართველოს წინააღმდეგ“,**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეხუთე სექცია) კომიტეტმა შემდეგი შემადგენლობით:

განა იუდკივსკა, *თავმჯდომარე,*

სიოფრა ო'ლირი,

ლადო ჭანტურია, *მოსამართლეები,*

და მილან ბლაშკო, *სექციის განმწესრიგებლის მოადგილე,*

2019 წლის 4 ივნისს გამართული დახურული თათბირის შემდეგ,

გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება, რომელიც იმავე დღეს იქნა მიღებული:

**პროცედურა**

1. საქმეს საფუძვლად დაედო საქართველოს მოქალაქის, ბ-ნი ნიკოლოზ გოგუაძის („მომჩივანი“) მიერ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის შესაბამისად 2012 წლის 21 ივნისს სასამართლოში შეტანილი საჩივარი (№40009/12) საქართველოს წინააღმდეგ.

2. მომჩივანს წარმოდგენდნენ ქ-ნი ნ. ჯომარჯიძე და ქ-ნი ქ. შუბაშვილი, ადვოკატები, რომლებიც საქმიანობენ თბილისში. საქართველოს მთავრობას („მთავრობა“) წარმოადგენდა სახელმწიფო წარმომადგენელი იუსტიციის სამინისტროდან, ბ-ნი ბ. ძამაშვილი.

3. 2015 წლის 16 ოქტომბერს მთავრობას ეცნობა თავდაპირველი უკანონო პატიმრობის, მის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობისა და შემდგომი გამოძიების არაეფექტიანობის თაობაზე მომჩივნის პრეტენზიების შესახებ, ხოლო საჩივრის დანარჩენი ნაწილი მიუღებლად იქნა ცნობილი სასამართლოს რეგლამენტის 54-ე წესის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

4. 2016 წლის 15 სექტემბერს მთავრობამ წარადგინა ცალმხრივი დეკლარაცია, რომელიც შეეხებოდა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ნაწილის შესაბამისად წამოჭრილ საკითხებს.

5. 2018 წლის 3 აპრილს სასამართლომ უარყო მთავრობის ცალმხრივი დეკლარაცია.

**ფაქტები**

**I. საქმის გარემოებები**

6. მომჩივანი დაიბადა 1980 წელს და ცხოვრობს თბილისში.

## A. ზოგადი ინფორმაცია

7. მომჩივანი იყო იმ ჯგუფის წევრი და ერთ-ერთი ლიდერი, რომელიც თავის თავს უწოდებდა ნაციონალურ-რელიგიურ მოძრაობას, რომელიც დაარსდა თბილისში 2011 წლის 11 მაისს. 2011 წლის 26 მაისს პოლიციის თანამშრომელმა შეადგინა ოქმი, სადაც ის წერდა, რომ მისი ინფორმაციით, 24 ადამიანი, მომჩივნის ჩათვლით, აპირებდა საქართველოს ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლას. ოქმის თანახმად, ყველა სავარაუდო შეთქმულებაში მყოფი პირი იმყოფებოდა ყინწვისის მონასტერში, ქარელის რაიონში.

8. 2011 წლის 30 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტროს („შსს“) ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა პრეს-რელიზი, 2011 წლის 26 მაისს ყინწვისში 24 პირისაგან შემდგარი შეიარაღებული ჯგუფის დაკავების შესახებ.

## B. მომჩივნის დაკავება და მის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობა

9. მომჩივნის დაკავებისა და ჩხრეკის ოფიციალური ოქმების თანახმად, რომლებსაც მან სათანადო წესით მოაწერა ხელი, იგი დააკავეს 2011 წლის 27 მაისს დილის 6:12 საათზე და მოათავსეს თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში, იმ ექვსის საფუძველზე, რომ მან ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (შეთქმულება ან ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად) გათვალისწინებული დანაშაული. ოქმში, რომელშიც მითითებული იყო, რომ მომჩივანი დააკავეს მოწმედ დაკითხვის შემდგომ, ასევე აღნიშნული იყო, რომ მას ჰქონდა ჩალურჯებები კუდუსუნის არეში, დუნდულებზე და მარცხენა ბარძაყის არეში, სისხლჩაქცევები მარცხენა თვალის, მარჯვენა ლოყისა და ცხვირის მიდამოებში.

10. ამავე დღის 12:30 საათზე, მომჩივანი გადაიყვანეს წინასწარი დაკავების იზოლატორში, სადაც მას მიყვანისთანავე ჩაუტარდა ვიზუალური დათვალიერება. შემდგომში შედგენილმა ოქმმა დაადასტურა, რომ მისი მარცხენა თვალი გასიებული იყო, ჰქონდა სისხლჩაქცევები ცხვირზე და ჩალურჯებები კუდუსუნის არეში.

11. პროკურორის მოთხოვნის საფუძველზე, 2011 წლის 28 მაისის განჩინებით მოსამართლემ ბრალდებული დატოვა წინასწარ პატიმრობაში ორმოცდათხუთმეტი დღით. მომჩივანმა პატიმრობის თაობაზე სასამართლოს სხდომაზე გაასაჩივრა მისი დაკავების ოფიციალური ოქმი და განაცხადა, რომ ის დაკავებულ იქნა 26 მაისს ყინწვისში და არა 2011 წლის 27 მაისს თბილისში. თუმცა, მისი განცხადება, რომ იგი არ ეთანხმებოდა დაკავების ოფიციალურ ოქმს, უარყოფილ იქნა. კერძოდ, დაკავების ოფიციალურ ოქმზე დაყრდნობით, რომელიც სათანადოდ იყო ხელმოწერილი მომჩივნის მიერ, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ დაადგინა, რომ მისი განცხადებები დაკავების უკანონობასთან დაკავშირებით, იყო დაუსაბუთებელი.

12. მომჩივანმა გაასაჩივრა მისი წინასწარი პატიმრობა და იმეორებდა დაკავების გარემოებების თავის ვერსიას. კერძოდ, ის აცხადებდა, რომ მას შემდეგ, რაც ის 2011 წლის 26 მაისს დაახლოებით დილის 11:30 საათზე დააკავეს ყინწვისის მონასტერში,

იგი გადაყვანილ იქნა ქარელის პოლიციის განყოფილებაში, სადაც მას სცემეს. იგი შემდეგ გადაიყვანეს თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში, სადაც მას კვლავ ფიზიკურად გაუსწორდნენ, რის შემდეგაც, დაახლოებით ექვსი საათის განმავლობაში კითხავდნენ. მომჩივანი აცხადებდა, რომ მისი დაკავების რეალური დრო განსხვავდებოდა ოფიციალურ ოქმში მითითებული დროისგან. ასეთ გარემოებებში, გადაჭარბებულ იქნა სსსკ-ს 196-ე მუხლით გათვალისწინებული 48-საათიანი ვადა (იხ. პარაგრაფი 36 ქვემოთ), რამაც მისი პატიმრობა გახადა უკანონო. 2011 წლის 6 ივნისს მომჩივნის საჩივარი დაუშვებლად ცნო თბილისის სააპელაციო სასამართლომ. ეს განჩინება მომჩივანს ჩაბარდა 2011 წლის 9 ივნისს.

13. 2011 წლის 1 ივნისს დაცვის მხარემ, საკუთარი ხარჯებით, მოითხოვა მომჩივნის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა. 2011 წლის 22 ივლისს მომჩივანი შეამოწმა ხუთმა სამედიცინო ექსპერტმა, რომლებმაც დაადგინეს, რომ ნევროლოგიური და ტრავმატოლოგიური თვალსაზრისით, მომჩივნის მდგომარეობა არ იყო მძიმე. მათ აღნიშნეს, რომ ის ჩალურჯებები და ჭრილობები, რომლებიც ვიზუალური დათვალიერების ოქმის თანახმად, მას სავარაუდოდ მიყენებული ჰქონდა 2011 წლის 27 მაისს, არ იყო შესამჩნევი.

14. 2011 წლის 15 ივლისს მომჩივანი დამატებით ბრალდებულ იქნა ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენისა და შენახვისათვის, სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის.

### C. მომჩივნის სასამართლო პროცესი

15. 2011 წლის 21 ივლისს დაიწყო მომჩივნის სასამართლო პროცესი. მომჩივანმა გაიმეორა მტკიცება იმის შესახებ, რომ ის დაკავებულ იქნა 26 მაისს ყინწვისში და არა 27 მაისს თბილისში. ის ასევე პრეტენზიას გამოთქვამდა იმ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობასთან დაკავშირებით, რომელიც მის მიმართ განხორციელდა ყინწვისში, შემდგომ ქარელის პოლიციის განყოფილებაში და ბოლოს, თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში. კერძოდ, ის აცხადებდა, რომ ყინწვისში მას სახეში მუშტი დაარტყა სპეციალური ოპერაციების ძალების ერთ-ერთმა თანამშრომელმა და შემდგომ იმავე თანამშრომელმა, სხვა თანამშრომლებთან ერთად, მას სასტიკად სცემა ქარელის პოლიციის განყოფილებაში. ის შემდგომ თბილისში აღიარებითი ჩვენების მოპოვების მიზნით დაექვემდებარა ძალადობასა და ფსიქოლოგიურ ზეწოლას.

16. 2011 წლის 12 აგვისტოს მომჩივანი დამნაშავედ იქნა ცნობილი და სასჯელის სახედ განესაზღვრა თორმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა. მოსამართლემ, მომჩივნის დაკავებისა და ჩხრეკის ოფიციალურ ოქმებზე დაყრდნობით, უარყო მომჩივნის მტკიცება იმის შესახებ, რომ ის დააკავეს ყინწვისში და არა თბილისში. სასამართლოს არ განუხილავს მომჩივნის პრეტენზიები მის არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით.

17. მომჩივანმა გაასაჩივრა. მისი მსჯავრდება 2011 წლის 22 ნოემბერს ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლომ. 2012 წლის 12 მარტის განჩინებით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ უარყო მომჩივნის საკასაციო საჩივარი.

18. მომჩივანი ციხიდან გათავისუფლდა 2013 წლის 13 იანვარს, ამნისტიის შესახებ 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის საფუძველზე.

#### **D. მომჩივნის სავარაუდო არასათანადო მოპყრობის გამოძიება**

19. 2011 წლის 28 მაისს მომჩივანი გადაიყვანეს თბილისის N8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. მიყვანისთანავე მას ჩაუტარდა ვიზუალური დათვალიერება, რამაც დაადასტურა მის სხეულზე და სახეზე არსებული ჩალურჯებები და სისხლჩაქცევები (იხ. პარაგრაფები 9-10 ზემოთ). 2011 წლის 1-ლ ივნისს ციხის ადმინისტრაციამ ზემოთ ხსენებული დასკვნის ასლი, სავარაუდო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით მომჩივნის საჩივართან ერთად გადაუგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურატურას და მოითხოვა სამართალწარმოების დაწყება.

20. 2011 წლის 4 ივნისს გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე. მომჩივანმა განმეორებით მოითხოვა მისი დაკითხვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა, ხელისუფლების ორგანოებმა არ გაითვალისწინეს მისი მოთხოვნები. 2011 წლის 29 აგვისტოს მან გაუგზავნა წერილი გენერალურ პროკურატურას, რომელშიც გამოთქვამდა პრეტენზიას მათი უმოქმედობის გამო. ის იმეორებდა თავის ბრალდებებს და ითხოვდა, რომ დაწყებულიყო სისხლის სამართლებრივი გამოძიება იმ პირების მიმართ, რომლებმაც ჩაიდინეს უკანონო ქმედებები მის წინააღმდეგ. თავისი ბრალდებების გასამყარებლად, მან წარადგინა ფოტოსურათი, რომელიც სავარაუდოდ გადაღებული იყო მისი თავდაპირველი დაკითხვის დროს და რომელზეც ასახული იყო დაზიანებები მის სახეზე.

21. 2011 წლის 2 სექტემბერს მომჩივანი დაიკითხა გამომძიებლის მიერ თბილისის N8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. მან კიდევ ერთხელ გაიმეორა მოვლენათა განვითარების თავისი ვერსია მისი დაკავებისა და შემდგომი არასათანადო მოპყრობის თაობაზე. იგი აცხადებდა, რომ ყინწვისში მას სახეში მუშტი დაარტყა სპეციალური ოპერაციების ძალების ერთ-ერთმა თანამშრომელმა. შემდგომ მას სცემა რამდენიმე თანამშრომელმა ქარელის პოლიციის განყოფილებაში. მომჩივნის განცხადებით, ერთ-ერთ მათგანს ეკეთა ნიღაბი. თბილისში პოლიციის ორმა თანამშრომელმა მასზე ასევე მოახდინა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა.

22. მომჩივანმა შემდგომში შეიტანა რამდენიმე საჩივარი, რომლებშიც აკრიტიკებდა გამოძიების არაპროგრესულობას, კერძოდ კი იმ ფაქტს, რომ მის დეტალურ განცხადებას არ მოჰყოლია შემდგომი სხვადასხვა პროცედურული ღონისძიება. მისი ერთ-ერთი საჩივრის საპასუხოდ, 2011 წლის 11 დეკემბრის წერილით მას ეცნობა, რომ ის არ წარმოადგენდა სადავო სისხლის სამართალწარმოების მხარეს და შესაბამისად, არ ჰქონდა უფლება, შეეტანა რაიმე საჩივარი ან მოეთხოვა კონკრეტული საგამომძიებო მოქმედებების ჩატარება.

23. 2012 წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველის ოფისმა, მომჩივნის მოთხოვნის საფუძველზე, საქართველოს გენერალურ პროკურატურას გაუგზავნა სამი მოთხოვნა მომჩივნის სავარაუდო არასათანადო მოპყრობის გამოძიებაზე ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით. სამივე წერილი დარჩა უპასუხოდ.

24. 2012 წლის 18 დეკემბერს მომჩივანი კიდევ ერთხელ დაიკითხა. მან დაადასტურა მოვლენათა ის განვითარება, როგორც ის მოცემული იყო 2011 წლის 2 სექტემბრის ჩვენებაში და უფრო დეტალურად აღწერა მისი დაკავების ოპერაცია და შემდგომი სავარაუდო არასათანადო მოპყრობა. მან განაცხადა, რომ ქარელის პოლიციის განყოფილებაში მას სცემდნენ დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში და მას ძლიერად დაარტყეს კუდუსუნის ძვლის მიდამოებში რეზინის ხელკეტით. მომჩივანმა ასევე წარადგინა მის არასათანადო მოპყრობაში სავარაუდოდ მონაწილე თანამშრომლების ფიზიკური აღწერილობა და განაცხადა, რომ შეძლებდა სულ მცირე ორი მათგანის ამოცნობას. რაც შეეხება იმ ძალადობას, რომელსაც ის დაექვემდებარა თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში, მან განაცხადა, რომ შეძლებდა ორივე მონაწილე პირის ამოცნობას, რადგან მათ ჰქონდათ მოჭიდავეების აღნაგობა. მათ ასევე, როგორც მომჩივანმა გაიხსენა, ჰქონდათ დაზიანებული ყურები, რაც დამახასიათებელია მოჭიდავეებისათვის.

25. 2013 წლის 7 თებერვალს მომჩივანმა შეიტანა საჩივარი საქართველოს გენერალურ პროკურატურასთან, რითაც აკრიტიკებდა გამოძიების პროგრესის არარსებობას. ამას მოჰყვა სხვა საჩივრები იუსტიციის სამინისტროში, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში და უშუალოდ იმ გამომძიებელთან, რომელიც საქმეს უძღვებოდა.

26. 2013 წლის 25 თებერვალს მომჩივანი კიდევ ერთხელ დაიკითხა. ამჯერად მან სავარაუდო არასათანადო მოპყრობის დეტალებთან ერთად, გამოძიებას წარუდგინა რამდენიმე ფოტოსურათი და ვიდეო მასალა, რომელზეც გამოსახული იყო სპეციალური ოპერაციების ძალების ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელიც სავარაუდოდ მონაწილეობდა მის მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობაში.

27. ამასობაში, 2013 წლის იანვარსა და აპრილს შორის პერიოდში, გამომძიებელმა, რომელიც იძიებდა აღნიშნულ საქმეს, დაკითხა შსს-ს არაერთი თანამდებობის პირი, მათ შორის, ქარელის პოლიციის განყოფილების თანამშრომლები. ყველა მათგანმა უარყო მომჩივნის ან სხვა დაკავებულების მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტი. გამომძიებელმა ასევე დაკითხა ადგილობრივი სასწრაფო სამედიცინო სამსახურის თანამშრომლები. მათ დაადასტურეს, რომ 2011 წლის 26 მაისს სასწრაფო დახმარების მანქანა იქნა გამოძახებული ქარელის პოლიციის განყოფილებაში ერთ-ერთი დაკავებულისთვის. მისი შემოწმების დროს მათ აღმოაჩინეს მრავლობითი სისხლჩაქცევები ზურგის არეში. პოლიციის განყოფილებაში მათ ასევე ნახეს ოციდან ოცდახუთამდე სხვა დაკავებული, თუმცა ისინი თავად არ შესწრებიან ძალადობის რაიმე ფაქტს. დროის იმავე პერიოდში, გამომძიებამ დაკითხა მომჩივანთან ერთად

ბრალდებული სხვა ოცდასამი პირი. ყველა მათგანმა განაცხადა, რომ დაკავების დროს ისინი დაექვემდებარნენ არასათანადო მოპყრობას სპეციალური ოპერაციების ძალების თანამშრომლების მიერ.

28. საქმის მასალების მიხედვით, 2016 წლის 3 მაისს, პოლიციის თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე გამოძიება შიდა ქართლის საოლქო პროკურატურიდან გადაეცა საქართველოს გენერალურ პროკურატურას. 2016 წლის 13 ივნისს აღნიშნული საქმის გამომძიებელმა მიიღო სამედიცინო დასკვნა თბილისის N8 სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან, რომლის თანახმადაც, 2011 წლის 28 მაისს მომჩივანს აღნიშნებოდა შემდეგი დაზიანებები: მცირე ჩალურჯებები ცხვირზე და მარცხენა თვალზე, დიდი სისხლჩაქცევები დუნდულების, მარცხენა ბარძაყისა და კუდუსუნის არეში. დასკვნის მიხედვით, მომჩივანი აცხადებდა, რომ მან ეს დაზიანებები მიიღო დაკავებამდე.

29. 2017 წლის ივნისში გამომძიებელმა დაკითხა ქარელის პოლიციის ორი ყოფილი მაღალჩინოსანი. მან ასევე მოიპოვა ყინწვისის სპეცოპერაციის ვიდეოჩანაწერი, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, ხელმისაწვდომი იყო ელექტრონულად.

30. 2017 წლის 19 ივლისს დანაშაული, რომელზეც გამოძიება მიმდინარეობდა, გადაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას ძალადობით. საქმეზე პასუხისმგებელმა პროკურორმა დაადგინა, რომ არსებობდა საკმარისი სამედიცინო მტკიცებულება იმის დასადგენად, რომ მომჩივანმა და სხვა დაკავებულებმა სხვადასხვა სახის დაზიანებები მიიღეს 2011 წლის 26 მაისს. ამ დასკვნის გასამყარებლად მან ასევე მითითება გააკეთა მომჩივანთან ერთად დაკავებულ იმ ოცდასამი პირის ჩვენებაზე, რომლებმაც დაადასტურეს დაკავების დღეს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტი. პროკურორის თანახმად, მათ უმრავლესობას გამოძიების საწყის ეტაპზე არ განუცხადებია პრეტენზიები არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით, შემდგომი ძალადობის შიშის გამო და ასევე იმ საპროცესო შეთანხმების სანაცვლოდ, რომელიც პროკურატურამ დადო მათთან.

31. 2018 წლის მაისში მომჩივანთან ერთად ბრალდებული თორმეტი პირი კვლავ დაიკითხა. მათ დეტალურად აღწერეს არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით მათი პირადი გამოცდილება და დამატებით, ყურადღება გაამახვილეს ამ ფაქტში მონაწილე პოლიციის თანამშრომელთა გარეგნულ აღწერილობაზე. ისინი აცხადებდნენ, რომ სპეციალური ოპერაციების ძალების თანამშრომლები საუბრობდნენ მეგრულად (ქართველური ენა, რომელზეც საუბრობენ დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში).

32. 2018 წლის 25 ივლისს მომჩივანმა გააგზავნა კიდევ ერთი წერილი საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, რომელშიც პრეტენზიას გამოთქვამდა გამოძიების მიმდინარეობისას პროგრესის არარსებობასთან დაკავშირებით. იგი აკრიტიკებდა იმ ფაქტს, რომ მისი მუდმივი განცხადების მიუხედავად, რომ შემლებდა მის მიმართ არასათანადო მოპყრობაში მონაწილე პოლიციელების ამოცნობას, არანაირი

ამოცნობის პროცედურა არ იქნა დაგეგმილი შვიდი წლის განმავლობაში. მან ასევე მოითხოვა იმ ორი გამომძიებლის დაკითხვა, რომლებმაც შეადგინეს მისი დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმები და რომლებიც მონაწილეობდნენ მის დაკითხვაში 2011 წლის 26 და 27 მაისს. მან ასევე, მოითხოვა მის დაკავებაში მონაწილე სხვა რამდენიმე თანამდებობის პირის დაკითხვა. მომჩივანი სხვადასხვა სახის კონკრეტული საგამომძიებო მოქმედებების ჩატარებასთან ერთად პროკურატურას სთხოვდა, მიენიჭებინა მისთვის დაზარალებულის სტატუსი და ასევე, გადაეკვალიფიცირებინათ დანაშაული სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებიდან (დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით) წამებაზე (დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე მუხლის 1-ლი ნაწილით). მომჩივნის წერილი დარჩა პასუხგაუცემელი.

33. 2018 წლის ივლისი-სექტემბრის თვეებში დამატებით ჩატარდა საგამომძიებო მოქმედებები, მათ შორის, დაიკითხნენ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თბილისის N8 სასჯელაღსრულების დაწესებულების სამედიცინო პერსონალი და ყინწვისის მონასტრის სასულიერო პირები. ამ უკანასკნელებმა, დაადასტურეს, რომ დაინახეს, თუ როგორ იძალადეს მომჩივანსა და მის თანმხლებ პირებზე დაკავების მომენტში და ასევე წარმოადგინეს ინფორმაცია დაკავების ოპერაციაში მონაწილე პირთა გარეგნობის შესახებ. მათ ასევე განაცხადეს, რომ პოლიციის თანამშრომლები საუბრობდნენ მეგრულ ენაზე.

34. საქმის მასალების მიხედვით, გამოძიება ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

## II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა

35. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის („სსსკ“) შესაბამისი ზოგადი დებულებები, რომლებიც ეხება გამოძიების დაწყებასა და დაზარალებულის სტატუსის მინიჭებას, იმ პერიოდში, იკითხებოდა შემდეგნაირად:

### **მუხლი 56. პირის დაზარალებულად ცნობა**

„1. დაზარალებულს ენიჭება მოწმის ყველა უფლება და ეკისრება მისი ყველა [კავშირში მყოფი] მოვალეობა.

...

5. პირის დაზარალებულად ... ცნობის შესახებ პროკურორს გამოაქვს დადგენილება.“

### **მუხლი 57. დაზარალებულის უფლებები**

„დაზარალებულს აქვს უფლება

(ა) იცოდეს ბრალდებულისათვის წარდგენილი ბრალდების არსი;

(ბ) სასამართლოში .... მისცეს ჩვენება ზიანის შესახებ, რომელიც მას მიადგა;

(გ) უფასოდ მიიღოს სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების (განჩინების), განაჩენის, სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების ასლი;

...



(ზ) მოითხოვოს დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენება, თუ საფრთხე ემუქრება როგორც მის, ისე მისი ახლო ნათესავის ან ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან/და საკუთრებას;

(თ) მიიღოს განმარტება თავისი უფლება-მოვალეობების შესახებ;

(ი) ისარგებლოს ამ კოდექსით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.“

### **მუხლი 100. გამოძიების დაწყების მოვალეობა**

„1. დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან დაიწყონ გამოძიება. გამომძიებლის მიერ გამოძიების დაწყების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროკურორს.“

### **მუხლი 103. გამოძიების ვადა**

„1. გამოძიება მიმდინარეობს გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუმეტეს შესაბამისი დანაშაულისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლის სამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადისა.“

36. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი დებულებები, რომლებიც შეეხება წინასწარ დაკავებას და *habeas corpus* პროცედურებს, იმ დროისთვის იყო შემდეგი:

### **მუხლი 176. დაკავებულის გათავისუფლების საფუძვლები და წესები**

„1. დაკავებული უნდა გათავისუფლდეს თუ

...

(გ) გავიდა დაკავების ამ კოდექსით დადგენილი ვადა;

...

(ე) დაკავებისას არსებითად დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კანონი;

...

2. დაკავებული თავისუფლდება პროკურორის ან მოსამართლის გადაწყვეტილებით.“

### **მუხლი 196. ბრალდებულის პირველი წარდგენა სასამართლოში**

„1. დაკავებიდან არა უგვიანეს 48 საათისა პროკურორი გამოძიების ადგილის მიხედვით მაგისტრატ მოსამართლეს წარუდგენს შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ.

...

3. თუ ამ მუხლით გათვალისწინებული შუამდგომლობა დაკავებიდან 48 საათში არ წარედგინება მაგისტრატ მოსამართლეს, დაკავებული დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.“

37. სსსკ-ს 207-ე მუხლის მიხედვით, დაკავებულის სასამართლოში პირველი წარდგენის დროს მოსამართლის განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს ერთჯერადად. განჩინება უნდა გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მისი გამოტანიდან 48 საათში, ხოლო სააპელაციო სასამართლომ ის უნდა განიხილოს მომდევნო 72 საათში.

## სამართალი

### I. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა.

38. მომჩივანი დავობდა, რომ დაკავების დღეს ის დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას და არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით მის ბრალდებებზე არ ჩატარებულა ეფექტიანი გამოძიება. ის დაეყრდნო კონვენციის მე-3 მუხლს, რომელშიც ვკითხულობთ:

„ადამიანის წამება, არაადამიანური თუ დამამცირებელი დასჯა ან მასთან ასეთი მოპყრობა დაუშვებელია.“

#### A. მისაღებობა

39. მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივნის მიერ კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად შეტანილი საჩივარი იყო მიუღებელი, შიდასამართლებრივი დაცვის საშუალებების არამოწურვის გამო. ის აცხადებდა, რომ შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები ჯერ კიდევ მიმდინარეობდა. გარდა ამისა, მთავრობის განცხადებით, გამოძიება აკმაყოფილებდა დამოუკიდებლობის, სრულყოფილებისა და ეფექტიანობის მოთხოვნებს, რაც იმას ნიშნავდა, რომ მომჩივნის საჩივარი იყო ნაადრევი.

40. მომჩივანი არ დაეთანხმა მთავრობის პოზიციას. მან სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე მითითებით განაცხადა (უთითებდა *Narin v. Turkey*, no. 18907/02, § 43, 15 დეკემბერი 2009; *Mikheyev v. Russia*, no. 77617/01, §§ 84 და 121, 26 იანვარი 2006; და *Denis Vasilyev v. Russia*, no. 32704/04, §§ 90-91, 17 დეკემბერი 2009), რომ სამართალწარმოების ხანგრძლივობა მის არაეფექტიანობასთან ერთად, ათავისუფლებდა მას სადავო გამოძიების შედეგების დალოდების ვალდებულებისგან.

41. სასამართლო მიიჩნევს, რომ მიუღებლობის თაობაზე მომჩივნის არგუმენტი, უნდა გაერთიანდეს საქმის არსებით მხარესთან, რადგან ის მჭიდრო კავშირშია ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მიერ ეფექტიანი გამოძიების ჩატარებლობასთან დაკავშირებით მომჩივნის საჩივრის არსებით ნაწილთან (იხ. *Denis Vasilyev*, ციტირებული ზემოთ, § 91, და *Asllani v. the former Yugoslav Republic of Macedonia*, no. 24058/13, § 54, 10 დეკემბერი 2015, მასში არსებულ სხვა მითითებებთან ერთად). სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ მომჩივნის მიერ კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად წარდგენილი საჩივრები არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში. უფრო მეტიც, ისინი არ არის მიუღებელი რაიმე სხვა საფუძვლით. შესაბამისად, ისინი უნდა გამოცხადდეს მისაღებად, იმ გადაწყვეტილებაზე წინასწარი გავლენის მოხდენის გარეშე, რომელიც საბოლოოდ იქნება მიღებული მთავრობის მიერ გამოთქმულ წინასწარ პრეტენზიაზე, შიდასამართლებრივი დაცვის საშუალებების არამოწურვასთან დაკავშირებით.

## B. არსებითი მხარე

### 1. მხარეთა არგუმენტები

42. მომჩივანი აცხადებდა, რომ სპეციალური ოპერაციების ძალებმა და პოლიციამ განახორციელეს მასზე არასათანადო მოპყრობა მისი დასჯისა და მისგან აღიარებით ჩვენების მოპოვების მიზნით. ის აცხადებდა, რომ საქმის მასალები შეიცავდა საკმარის მტკიცებულებებს, რომ დაკავების დღეს მას დაზიანებები მიაყენეს სპეციალური ოპერაციების ძალების თანამშრომლებმა და პოლიციამ. მომჩივანი მიუთითებდა მის მიერ, როგორც სასამართლო განხილვის, ისე მიმდინარე გამოძიებისას მიცემულ რამდენიმე დეტალურ ჩვენებაზე (იხ. პარაგრაფები 12, 15, 21 და 24 ზემოთ), სამედიცინო და მოწმეთა არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, ის ასევე ამტკიცებდა, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა *prima facie* არასათანადო მოპყრობას, რომლის უარყოფაც მთავრობამ ვერ შეძლო.

43. რაც შეეხება მისი საჩივრის პროცედურულ ასპექტს, მომჩივანმა განაცხადა, რომ გამოძიება, რომელიც თავდაპირველად დაიწყო შიდა ქართლის პროკურატურამ და შემდგომში გადაიბარა საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, არ შეესაბამებოდა კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნებს. საგამოძიებო მოქმედებების უმეტესობა ჩატარდა არსებითი დაგვიანებით. იყო ასევე რამდენიმე მნიშვნელოვანი აბსოლუტური უმოქმედობის პერიოდი, კერძოდ 2011 წლის სექტემბერსა და 2012 წლის დეკემბერს შორის, 2013 წლის აპრილსა და 2016 წლის მაისს შორის, 2016 წლის ივნისსა და 2017 წლის ივლისს შორის და შემდეგ, 2017 წლის სექტემბერსა და 2018 წლის აპრილს შორის და მთავრობას არ წარმოუდგენია არანაირი არგუმენტი აღნიშნული უმოქმედო ინტერვალების ასახსნელად. ასევე, საგამოძიებო ორგანოებს არ ჩაუტარებიათ მომჩივნის სამედიცინო შემოწმება, რათა შეეფასებინათ მისთვის მიყენებული დაზიანებების ხარისხი, არ დაკითხულა რამდენიმე მნიშვნელოვანი მოწმე - მათ შორის ისინი, რომელთაც მომჩივანთან შეხება ჰქონდათ მისი დაკავებიდან და სავარაუდო არასათანადო მოპყრობიდან პირველი რამდენიმე საათის განმავლობაში - და არ ჩატარებულა იმ პირების ამოცნობის პროცედურა, რომლებიც მომჩივნის განცხადებით, მონაწილეობდნენ მის მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობაში. მომჩივანმა ასევე განაცხადა, რომ გარდა ამ ხარვეზებისა, მას ასევე არ მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი შესაბამის პროცედურებში, რამაც ხელი შეუშალა ჰქონოდა წვდომა საგამოძიებო მასალებზე ან უბრალოდ, ინფორმაცია მიეღო საქმის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. ერთადერთი ინფორმაცია, რომელსაც მომჩივანი ფლობდა მის წინააღმდეგ სავარაუდო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესების თაობაზე, იყო ის, რომელიც მიიღო სასამართლოსაგან მას შემდეგ, რაც საჩივრის შესახებ ეცნობათ მხარეებს. ბოლოს, მომჩივანი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ მისი არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, გამოძიება ისევ მიმდინარეობდა სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება), სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე მუხლის 1-ლი ნაწილის (წამება)

ნაცვლად. დროის გასვლის გათვალისწინებით, ზემოთ აღნიშნული ხარვეზების ერთობლიობა გულისხმობდა, რომ გამოძიება, რომელიც მიმდინარეობდა შვიდ-ნახევარ წელზე მეტი, არღვევდა კონვენციის მე-3 მუხლს.

44. მთავრობა აცხადებდა, რომ მომჩივნის პრეტენზიებთან დაკავშირებული გამოძიება იყო ეფექტიანი და სრულყოფილი. მან აღნიშნა, რომ გამოძიება დაიწყო დროულად, 2011 წლის 4 ივნისს. მომჩივანი პირველად დაიკითხა 2011 წლის 2 სექტემბერს და შემდგომ 2012 წლის 18 დეკემბერს. 2012 წლის დეკემბერსა და 2013 წლის აპრილს შორის დაკითხულ იქნა ოცდასამი მოწმე. 2013 წლის იანვარში დამატებით ექვსი მოწმე იქნა დაკითხული, რასაც მოჰყვა კიდევ რამდენიმე მოწმის დაკითხვა 2013 წლის თებერვლისა და აპრილის შუალედში. მთავრობის განცხადებით, 2016 წლის 3 მაისს სისხლის სამართლის საქმე გადაეზავნა გენერალურ პროკურატურას. ამის შემდეგ, 2017 წლის ივნისში, არაერთი მოწმე იქნა ხელახლა დაკითხული, ასევე, სადავო ოპერაციაში მონაწილე პირთა იდენტიფიცირების მიზნით, გამოკვლეულ იქნა იმ მოვლენების რამდენიმე ვიდეო ჩანაწერი, რომლებსაც ადგილი ჰქონდა 2011 წლის 26 მაისს. მას შემდეგ, რაც წარმოადგინა დეტალური ინფორმაცია იმ სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებების შესახებ, რომლებიც განხორციელდა 2017 და 2018 წლებში, მთავრობამ განაცხადა, რომ მიმდინარე სამართალწარმოებას შეეძლო მომჩივნის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობაზე პასუხისმგებელ პირთა იდენტიფიცირება და დასჯა და არ არსებობდა არანაირი საფუძველი იმისათვის, რომ სასამართლოს, საქმის წარმოების მოცემულ ეტაპზე, გამოძიება ეცნო არაეფექტიანად.

45. მთავრობამ ასევე აღნიშნა, რომ მომჩივნისთვის მიყენებული დაზიანებების სიმძიმის დადგენის მიზნით, სადავო ინციდენტის შემდეგ დაუყოვნებლივ, დაინიშნა საქმის მასალებში არსებული სამედიცინო მტკიცებულებების შემდგომი სასამართლო ექსპერტიზა. ზემოთ აღნიშნული ექსპერტიზის შედეგების შემდგომ, უფლებამოსილ პირებს შესაძლებლობა ექნებოდათ, ხელახლა განეხილათ მომჩივნისათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების საკითხი და ასევე, შეეცვალათ გამოძიების სამართლებრივი კვალიფიკაცია.

## 2. სასამართლოს შეფასება

### (a) ზოგადი პრინციპები

46. შესაბამისი ზოგადი პრინციპები სასამართლოს მიერ შეჯამებულია საქმეში *Bouyid v. Belgium* ([GC], no. 23380/09, §§ 81-90 და 114-23, ECHR 2015; იხ. ასევე *El-Masri v. the former Yugoslav Republic of Macedonia* [GC], no. 39630/09, §§ 151-53 და 182-85, ECHR 2012, და *Mikiashvili v. Georgia*, no. 18996/06, §§ 69-72, 9 ოქტომბერი 2012).

### (b) ზემოხსენებული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმის გარემოებებში

47. სასამართლო არამოწურვის შესახებ მთავრობის არგუმენტის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ თავდაპირველად უნდა მოხდეს გამოძიების არაეფექტიანობასთან დაკავშირებით მომჩივნის საჩივრის განხილვა.

(i) საჩივრის პროცედურული ასპექტი

48. სასამართლო დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ მომჩივნის მიერ კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე წარდგენილი პრეტენზიები, რომლებიც აღნიშნული იყო მის მიერ ეროვნულ ორგანოებში შეტანილ საჩივრებში, იმასთან დაკავშირებით, რომ დაკავების დღეს ის დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას, იყო სადავო. (იხ. ასევე პარაგრაფები 53 და 54 ქვემოთ). ამდენად, მე-3 მუხლი მოითხოვდა უფლებამოსილი ორგანოების მიერ ეფექტიანი გამოძიების ჩატარებას. რაც შეეხება თავად გამოძიებას, სასამართლო აღნიშნავს, რომ მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, რომელიც თითქმის უკვე რვა წელს გრძელდებოდა, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გატარებული სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედების თაობაზე დეტალური ინფორმაციის მიწოდების მიუხედავად, მთავრობამ ვერ წარმოადგინა ვერანაირი ახსნა-განმარტება რამდენიმე მნიშვნელოვან ხანგრძლივ უმოქმედობის პერიოდთან დაკავშირებით. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ საგამოძიებო მოქმედებები დაიწყო დროულად, სავარაუდო ინციდენტიდან რამდენიმე დღეში (იხ. პარაგრაფი 20 ზემოთ), როგორც ჩანს, ერთადერთი საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ჩატარდა გამოძიების პირველი თვრამეტი თვის განმავლობაში, იყო მომჩივნის დაკითხვა 2011 წლის 2 სექტემბერს (იხ. პარაგრაფი 21 ზემოთ). საგამოძიებო ორგანოებმა არ დანიშნეს მომჩივნის სამედიცინო ექსპერტიზა, მიუხედავად იმისა, რომ მას აღენიშნებოდა დაზიანებების აშკარა კვალი (იხ. პარაგრაფები 9, 10 და 19 ზემოთ). მისი დაკავების დღეს ასეთი გამოკვლევის ჩატარება არა მარტო უზრუნველყოფდა იმას, რომ მომჩივანი პოლიციაში დაკითხვისთვის ყოფილიყო სათანადო მდგომარეობაში, არამედ, ასევე გაათავისუფლებდა მთავრობას ამ დაზიანებებთან დაკავშირებით დამაჯერებელი ახსნა-განმარტების წარდგენის ტვირთისგან (იხ. *inter alia*, *Parnov v. Moldova*, no. 35208/06, § 30, 13 ივლისი 2010, და *Türkan v. Turkey*, no. 33086/04, § 42, 18 სექტემბერი 2008). ერთადერთი სამედიცინო შემოწმება, რომელიც მომჩივანს იმ დროს ჩაუტარდა, იყო სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოების ფარგლებს გარეთ, მისი მოთხოვნითა და საკუთარი ხარჯებით (იხ. პარაგრაფი 13 ზემოთ).

49. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ წინამდებარე საქმის გამოძიების საწყისი და ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი, გამოირჩეოდა სრული უმოქმედობით. ამასთან დაკავშირებით, ის მიუთითებს წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის დასკვნაზე, რომლის თანახმადაც, სამედიცინო შემოწმება, ისევე, როგორც ადვოკატის ხელმისაწვდომობა და დაკავების თაობაზე მესამე პირისთვის ინფორმაციის მიწოდების უფლება, წარმოადგენს ფუნდამენტურ გარანტიებს დაკავებულის მიმართ არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ და რომლებიც ვრცელდება თავისუფლების აღკვეთის მომენტიდან (იხ. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მე-2 საერთო ანგარიში CPT/Inf/E (2002) 1-Rev, 2006, § 36).

50. შემდგომში, თითქმის თექვსმეტი თვის შემდეგ, 2012 წლის დეკემბერში, გამოძიება განახლდა თავდაპირველად მომჩივნის დაკითხვით, სხვა რამდენიმე მოწმის დაკითხვამდე (იხ. პარაგრაფები 24-27 და 44 ზემოთ). გამოძიების ეს ინტენსიური ეტაპი დასრულდა 2013 წლის აპრილში, რასაც მოჰყვა შემდგომი სრული უმოქმედობის პერიოდი 2016 წლის მაისამდე (იხ. პარაგრაფი 28 ზემოთ). მთავრობას არ წარუდგენია რაიმე მიზეზი სამართალწარმოებაში არსებულ სამწლიან ინტერვალთან დაკავშირებით. 2016 წლის მაისში საქმე გადაეცა საქართველოს გენერალურ პროკურატურას, თუმცა ამან მხოლოდ გამოიწვია წარმოების კიდევ ერთი წლით შეჩერება. 2017 წლის ივნისსა და სექტემბრის შუალედში რამდენიმე საგამოძიებო მოქმედება იქნა ჩატარებული, რასაც შემდგომში მოჰყვა გამოძიების კიდევ ერთი აქტიური ფაზა 2018 წლის აპრილ-სექტემბერში. საქმის მასალების მიხედვით, სამართალწარმოება ჯერ კიდევ მიმდინარეობს და ამ დრომდე არც ერთი ექვმიტანილი არ არის იდენტიფიცირებული.

51. სასამართლომ წინა შემთხვევებში ხაზი გაუსვა იმას, რომ შესაძლებელია არსებობდეს წინააღმდეგობები და სირთულეები, რომლებიც აფერხებს გამოძიების წინსვლას კონკრეტულ სიტუაციაში, თუმცა ხელისუფლების ორგანოების დროული რეაგირება, სავარაუდო არასათანადო მოპყრობის გამოძიებაზე, შეიძლება ზოგადად, მიჩნეულ იქნას, როგორც მათ მიერ კანონის უზენაესობის დაცვასთან დაკავშირებით საზოგადოების ნდობის შენარჩუნებისა და უკანონო ქმედებების ხელშეწყობის ან მათთან შეგუების თავიდან აცილების უმთავრეს წინაპირობად (იხ. სხვა წყაროებს შორის, *Mocanu and Others v. Romania* [GC], nos. 10865/09 და 2 სხვა, § 323, ECHR 2014 (ამონარიდები); *Bouyid*, ციტირებული ზემოთ, § 133; და *Asllani*, ციტირებული ზემოთ, §§ 59-60). მოპასუხე მთავრობის მიერ განხორციელებულ თითოეულ საგამოძიებო მოქმედებაში არსებითად ჩაღრმავების გარეშე, სასამართლო აღნიშნავს შემდეგს: საქმის მასალების მიხედვით, თითქმის რვაწლიანი გამოძიების შემდგომ, შესაბამისმა ორგანოებმა ვერ მოახდინეს სპეციალური ოპერაციების ძალების იმ დანაყოფის იდენტიფიცირება, რომელმაც ჩაატარა მომჩივნისა და მისი ჯგუფის დაკავების ოპერაცია. შესაბამისად, არცერთი თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობდა ყინწვისის სპეცოპერაციაში, ამ დრომდე არ დაკითხულა. ეს ხარვეზი, თავისთავად საკმარისია სასამართლოსთვის, რომ მთლიანად კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს მიმდინარე გამოძიების მიზანი და მიმართულება.

52. დასკვნის სახით, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხე მთავრობამ ვერ წარმოადგინა რაიმე დამაჯერებელი მიზეზი გამოძიების ხანგრძლივობის გასამართლებლად (იხ. *Kekelidze v. Georgia* [Committee], no. 2316/09, § 31, 17 იანვარი 2019). წინამდებარე საქმეში გაუმართლებელმა გაჭიანურებამ, სხვა ზემოთ განხილულ რამდენიმე ხარვეზთან ერთად, მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა გამოძიების ეფექტიანობას (იხ. *Mikheyev*, § 113, და *Asllani*, § 66, ორივე ციტირებული ზემოთ), რამაც სასამართლო მიიყვანა დასკვნამდე, რომ გამოძიება, კონვენციის მე-3 მუხლის მიზნებისთვის, იყო არაეფექტიანი. ამ მიზეზებიდან გამომდინარე, ის არ მიიჩნევს, რომ საჭირო იყო, მომჩივანი დალოდებოდა სისხლის სამართალწარმოების

დასრულებას სასამართლოში საჩივრის შეტანამდე, ვინაიდან, მისი დასრულება ვერ გამოასწორებდა საერთო ჯამში არსებულ გაჭიანურებას. შესაბამისად, სასამართლო უარყოფს მთავრობის მოსაზრებას შიდასამართლებრივი დაცვის საშუალებების არამოწურვასთან დაკავშირებით და ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ასპექტი (იხ. *Asllani*, §§ 67-68, და *Mikheyev*, § 121, ორივე ციტირებული ზემოთ).

(ii) საჩივრის არსებითი ასპექტი

53. რაც შეეხება მომჩივნის საჩივარს კონვენციის მე-3 მუხლის არსებით ნაწილთან დაკავშირებით, სასამართლო ადგენს, რომ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ დაკავების დღეს მომჩივანს აღენიშნებოდა სხვადასხვა სახის დაზიანება სახესა და სხეულზე (იხ. პარაგრაფები 9, 10 და 19 ზემოთ). მთავრობას სადავო არ გაუხდია მომჩივნის ვიზუალური დათვალიერების შედეგები. უფრო მეტიც, მას არასდროს უდავია, რომ მომჩივანმა აღნიშნული დაზიანებები დაკავებამდე მიიღო ან რომ მან წინააღმდეგობა გაუწია დაკავებას და შესაბამისად, მის მიმართ ძალის გამოყენება გამართლებული იყო. ამის საპირისპიროდ, მათი პოზიციის გასამყარებლად, მთავრობამ წარადგინა პროკურატურის დადგენილების ასლი გამოძიების გადაკვალიფიცირებასთან დაკავშირებით (დათარიღებული 2017 წლის 19 ივლისით), რომლის თანახმადაც, პროკურორმა დაადგინა, რომ არსებობდა საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც ცხადყოფდა, რომ მომჩივანმა აღნიშნული დაზიანებები მიიღო დაკავების ოპერაციის დროს (იხ. პარაგრაფი 30 ზემოთ). უფრო მეტიც, თავისი პოზიციის ნაწილად, მთავრობამ სასამართლოს წარუდგინა სხვადასხვა მოწმის ჩვენება, რომლებმაც მეტწილად დაადასტურეს მომჩივნის ვერსია მოვლენათა განვითარების შესახებ (იხ. პარაგრაფი 30, 31 და 33).

54. საქმის ფაქტებიდან გამომდინარე, სასამართლო განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად მიიჩნევს, ხაზი გაუსვას იმას, რომ იმ პირის მიმართ, რომელსაც აღკვეთილი აქვს თავისუფლება ან, უფრო ზოგადად, დაპირისპირებულია სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებთან, ფიზიკური ძალის ნებისმიერი გამოყენება, რომელიც არ არის მკაცრად აუცილებელი თავად ამ პირის ქცევიდან გამომდინარე, შეურაცხყოფს ადამიანის ღირსებას და არის, პრინციპულად, მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლების დარღვევა (იხ. *Bouyid*, მითითებულია ზემოთ, § 88). აქედან გამომდინარე, მთავრობის არგუმენტი, რომ არ არსებობს დამადასტურებელი სამედიცინო მტკიცებულება, რომელიც ასახავს მიყენებული დაზიანებების ხარისხსა და სიმძიმეს, არის არარელევანტური. ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც ზემოთ იქნა დადგენილი, მოცემულ საქმეში აშკარა ვითარებას წარმოადგენს მომჩივნის ბრალდებების არასათანადო გამოძიების შედეგი, რისი პასუხისმგებლობაც სრულად ეკისრება მთავრობას.

55. შეჯამების სახით, მთავრობამ აღიარა, რომ მომჩივანი, რა სტატუსიც უნდა ჰქონოდა მას იმ დროს ეროვნული სამართლის შესაბამისად, 2011 წლის 26-27 მაისს იყო მისი უფლებამოსილების ქვეშ და რომ აღნიშნული დაზიანებები მან დროის ამ

მონაკვეთში მიიღო. მთავრობამ ვერ წარადგინა დამაჯერებელი განმარტება, თუ რამ გამოიწვია აღნიშნული დაზიანებები. საქმის მასალებში არსებული მტკიცებულებებისა და სადავო არასათანადო მოპყრობის თაობაზე მომჩივნის დეტალური და თანმიმდევრული აღწერილობის კუმულაციურად განხილვის შედეგად (იხ. პარაგრაფები 12, 15, 19, 21 და 24 ზემოთ), სასამართლო ადგენს, რომ აღნიშნული დაზიანებები იყო იმ არასათანადო მოპყრობის შედეგი, რომელიც განხორციელდა მომჩივნის მიმართ მისი დაკავების დღეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა, ასევე, კონვენციის მე-3 მუხლის არსებითი ნაწილის დარღვევას.

## II. კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის სავარაუდო დარღვევა

56. მომჩივანი კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე დავობდა, რომ ის *de facto* დააკავეს 2011 წლის 26 მაისის დილას ყინწვისში, მაშინ, როდესაც მისი დაპატიმრების ფაქტი გაფორმებულ იქნა დაკავების ოფიციალური ოქმით 2011 წლის 27 მაისს დილის 6:12 საათზე თბილისში. კონვენციის მე-5 მუხლის შესაბამისი ნაწილი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

„1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, თუ არა კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად და გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

...

(გ) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება, უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს ამ პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის საფუძველიანი ეჭვი, ან საფუძველიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა;“

### A. მხარეთა მოსაზრებები

57. მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივანს არ ამოუწურავს შიდასამართლებრივი დაცვის საშუალებები კონვენციის მე-5 მუხლთან დაკავშირებულ საჩივართან მიმართებით. მთავრობის არგუმენტი მოიცავდა ორ ძირითად ასპექტს. პირველი, მთავრობის განცხადებით, სისხლის სამართლის პროცესი, რომელიც განხორციელდა მომჩივნის წინააღმდეგ, არ იყო სათანადო და შესაბამისი ადგილი მის უკანონო დაპატიმრებასთან დაკავშირებით პრეტენზიების გაჟღერებისთვის. მეორე, მომჩივანმა არ გამოიყენა მისთვის ხელმისაწვდომი სამართლებრივი საშუალება, კერძოდ, საჩივრის შეტანა სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლის (განზრახ უკანონო პატიმრობა) საფუძველზე. არ შეიძლება არსებობდეს რაიმე ეჭვი იმასთან დაკავშირებით, იყო თუ არა ხელმისაწვდომი აღნიშნული საშუალება მომჩივნისათვის, რადგან მისმა ადვოკატმა ამგვარ სამართლებრივ საშუალებას მიმართა არასათანადო მოპყრობის თაობაზე პრეტენზიებთან მიმართებით. მთავრობამ ასევე განაცხადა, რომ



მომჩივნის საჩივარი კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლ პუნქტთან დაკავშირებით იყო მიუღებელი, რადგან ის სასამართლოში შეტანილ იქნა ექვსთვიანი ვადის გასვლის შემდეგ. კერძოდ, მთავრობა აცხადებდა, რომ უკანონო პატიმრობის თაობაზე მომჩივნის სისხლისსამართლებრივი საჩივრის არარსებობის შემთხვევაში, მოსალოდნელი იყო, რომ მას შესაბამისი საჩივრით მიემართა სასამართლოსთვის 2011 წლის 26 მაისს მისი სავარაუდო *de facto* დაკავებიდან ექვსი თვის განმავლობაში, ანუ არაუგვიანეს 2011 წლის 26 ნოემბრისა.

58. მომჩივანმა გააპროტესტა მთავრობის პოზიცია და ამტკიცებდა, რომ მას სათანადოდ ჰქონდა ამოწურული შიდასამართლებრივი დაცვის ყველა საშუალება. მის 2011 წლის 29 აგვისტოს წერილზე დაყრდნობით (იხ. პარაგრაფი 20 ზემოთ), მომჩივანმა განაცხადა, რომ უკანონო დაპატიმრების საკითხი სათანადოდ წამოჭრა საგამომიებო ორგანოების წინაშე და შესაბამისად, ვარაუდობდა, რომ არასათანადო მოპყრობის თაობაზე მის პრეტენზიებთან ერთად, აღნიშნულ საჩივართან დაკავშირებით დაიწყებოდა გამოძიება. რაც შეეხება მის სისხლის სამართლის პროცესს, მან განაცხადა, რომ შიდა სასამართლომ იმსჯელა უკანონო პატიმრობასთან დაკავშირებით მის პრეტენზიებზე, მაგრამ უარყო დაუსაბუთებლობის გამო.

## **B. სასამართლოს შეფასება**

59. სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობამ ორივე, შიდასამართლებრივი დაცვის საშუალებების არამოწურვა და ექვსთვიანი ვადის წესი, წარმოადგინა, როგორც საჩივრის მიუღებლად ცნობის ალტერნატიული საფუძველი. მომჩივანმა, თავის მხრივ, განაცხადა, რომ გამოიყენა მის ხელთ არსებული ყველა სამართლებრივი საშუალება, რათა გაეყდერებინა საკუთარი პრეტენზიები. იმ სხვადასხვა სამართლებრივ საშუალებასთან მიმართებით, რომელიც მთავრობამ მიუთითა ან სავარაუდოდ, მომჩივანმა გამოიყენა, სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, თავდაპირველად განსაზღვროს ის საშუალება, რომელიც შესაბამისი პრეცედენტული სამართლის მიხედვით (იხ. *Lelyuk v. Ukraine*, N 24037/08, §§ 35-36, 2016 წლის 17 ნოემბერი, მასში არსებულ სხვა მითითებებთან ერთად), ყველაზე ეფექტურად უზრუნველყოფდა სავარაუდო დარღვევის გამოსწორებას.

60. მომჩივანი დაკავებულ იქნა მის წინააღმდეგ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი პროცესის ფარგლებში (იხ. პარაგრაფი 9 ზემოთ). მას ჰქონდა საშუალება გამოეყენებინა *habeas corpus*- ის პროცედურები (იხ. პარაგრაფი 36 ზემოთ). თუ არა მომჩივნისთვის ხელმისაწვდომი ერთადერთი პრევენციული საშუალება, ეს პროცედურები, უდავოდ, იყო ყველაზე ეფექტური, რადგან აღნიშნულის შედეგად, შესაძლოა, მომჩივანი დაუყოვნებლივ გათავისუფლებულიყო, თუკი მისი თავდაპირველი დაკავება იქნებოდა უკანონო (ამასთან დაკავშირებით იხ. სსსკ-ის 176-ე მუხლი, რომელიც მოცემულია 36-ე პარაგრაფში ზემოთ; ასევე იხ. *Selahattin Demirtaş v. Turkey* (N 2), N 14305/17, § 132, 2018 წლის 20 ნოემბერი; და *Krasniqi v. Croatia*, N 4137/10, § 27, 2012 წლის 10 ივლისი; განასხვავეთ ზემოხსენებული *Lelyuk*-სგან, რომელშიც სასამართლომ დაასკვნა, რომ მომჩივნის მიერ დაკავების უკანონობის

სასამართლო წესით აღიარება, სამი წლის დაგვიანებით და მისი გათავისუფლების შემდეგ, არ შეიძლებოდა მიჩნეული ყოფილიყო, როგორც უფლების აღდგენის საკმარისი საშუალება). საქმის მასალების თანახმად, მომჩივანმა ისარგებლა ზემოაღნიშნული საშუალებით. იგი დავობდა, რომ 48-საათიანი ვადა, რომელიც განსაზღვრულია სსსკ-ის 196-ე მუხლით (იხ. პარაგრაფი 36 ზემოთ) იყო გადაჭარბებული. აქედან გამომდინარე, მან ეჭვქვეშ დააყენა მისი პატიმრობის კანონიერება, თუმცა, უშედეგოდ (იხ. პარაგრაფები 11 და 12 ზემოთ).

61. იქიდან გამომდინარე, რომ მომჩივანმა გამოიყენა ისეთი საშუალება, რომელსაც შეეძლო აღმოეფხრა სავარაუდო დარღვევა, სასამართლო მიიჩნევს, რომ იგი არ შეიძლება გაკრიტიკებულ იქნას სხვა სამართლებრივი საშუალებების გამოუყენებლობის გამო (იხ. *Horváth v. Slovakia*, N 5515/09, §§ 69 და 78, 2012 წლის 27 ნოემბერი და *Kakabadze and Others v. Georgia*, N1484/07, § 54, 2012 წლის 2 ოქტომბერი, მასში არსებულ სხვა მითითებებთან ერთად). აქედან გამომდინარე, სასამართლო უარყოფს მთავრობის პირველ პოზიციას.

62. რაც შეეხება მთავრობის მიერ დასახელებულ დაუშვებლად ცნობის მეორე საფუძველს, რომელიც ეფუძნება იმ ფაქტს, რომ მომჩივანმა არ დაიცვა ექვსთვიანი ვადის წესი, ამასთან დაკავშირებით, როგორც სასამართლომ ზემოთ უკვე აღნიშნა, მომჩივანი დავობდა მისი თავდაპირველი პატიმრობის უკანონობის თაობაზე, როდესაც იგი პირველად გამოცხადდა სასამართლოს წინაშე წინასასამართლო სხდომაზე (იხ. პარაგრაფი 11 ზემოთ და სსსკ-ის 176-ე და 196-ე მუხლები, რომლებიც მოცემულია 36-ე პარაგრაფში ზემოთ). მის მიერ გამოთქმული პრეტენზიები 2011 წლის 28 მაისს უარყოფილ იქნა მოსამართლის მიერ, რომლის განჩინებაც თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა 2011 წლის 6 ივნისს. სააპელაციო სასამართლოს განჩინება მომჩივანს ჩაბარდა 2011 წლის 9 ივნისს. ამგვარ გარემოებებში, გამომდინარეობს, რომ 2011 წლის 9 ივნისს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, რითაც დადასტურდა მოვლენათა ოფიციალური ვერსია, მომჩივნისათვის ნათელი უნდა გამხდარიყო, რომ შემდგომი საჩივრები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უშედეგო იქნებოდა.

63. მომჩივანმა განაცხადა, რომ მან მიმართა სხვა სისხლისსამართლებრივ საშუალებასაც, რომლის არაეფექტიანობა მისთვის ნათელი გახდა 2011 წლის დეკემბერის ბოლოს, მას შემდეგ, რაც მან განმეორებით მიიღო უარი მიმდინარე სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე (იხ. პარაგრაფი 22 ზემოთ). სასამართლო არ იზიარებს მომჩივნის არგუმენტებს. იმ საკითხის მიღმა, *habeas corpus*-ის პროცედურების უშედეგობის შემთხვევაში, სასამართლოსთვის მიმართვამდე უნდა გამოეყენებინა თუ არა მომჩივანს სხვა სისხლისსამართლებრივი საშუალებები, სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანმა საგამოძიებო ორგანოების წინაშე საკმარისად მკაფიოდ არ გააჟღერა მისი პრეტენზიები კონვენციის მე-5 მუხლის შესაბამისად (იხ. პარაგრაფები 19, 21 და 23 ზემოთ). მიუხედავად იმისა, რომ მან აღნიშნა ყინწვისის მონასტერში მისი დაკავების ფაქტი, მას არ უხსენებია, რომ ეს იყო უკანონო ან ოფიციალურად გაფორმებული დაკავება.

სასამართლოს აზრით, მომჩივანს არ ჰქონდა იმ ვარაუდის საფუძველი, რომ საგამომიებო ორგანოები საკუთარი ინიციატივით დაიწყებდნენ გამოძიებას თავდაპირველი პატიმრობის სავარაუდო უკანონობის თაობაზე.

64. შესაბამისად, მოცემული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლო აღგენს, რომ ექვსთვიანი ვადის ათვლის შესაბამისი თარიღი იყო 2011 წლის 9 ივნისი, როდესაც მას ჩაბარდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რითაც დადასტურდა მომჩივნის დაკავებისა და დაპატიმრების კანონიერება. წინამდებარე საჩივარი სასამართლოში წარდგენილ იქნა 2012 წლის 21 ივნისს. ამრიგად, კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე მომჩივნის საჩივარი სასამართლოში წარდგენილ იქნა ვადის დარღვევით და ამიტომ, მიუღებელია კონვენციის 35 მუხლის 1-ლი და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

### III. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

65. კონვენციის 41-ე მუხლი ითვალისწინებს შემდეგს:

„თუ სასამართლო დაასკვნის, რომ დაირღვა კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლება, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდა სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

#### A. ზიანი

66. მომჩივანმა მოითხოვა 10,000 ევრო (EUR) მისთვის მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად.

67. მთავრობამ განაცხადა, რომ სამართალწარმოება ჯერ კიდევ მიმდინარეობდა და შესაბამისად, ნაადრევი იყო მომჩივნისათვის სავარაუდოდ მიყენებული ზიანის მორალურ ასპექტზე დასკვნის გაკეთება. მთავრობამ, ალტერნატიულად, განაცხადა, რომ მოთხოვნილი ოდენობა იყო გადაჭარბებული.

68. სამართლიანობის საფუძველზე და დადგენილი დარღვევების ხასიათის გათვალისწინებით, სასამართლო ანიჭებს მომჩივანს 10,000 ევროს (EUR) მორალური ზიანის ასანაზღაურებლად.

#### B. ხარჯები

69. მომჩივანმა მოითხოვა 4,965 ლარი (GEL) (დაახლოებით 2,000 ევრო (EUR)), იმ სამართლებრივი ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც მან გაწია შიდა სასამართლოებთან ურთიერთობისას და 2,444 ლარი (GEL) (დაახლოებით 1,000 ევრო (EUR)) იმ ხარჯების ასანაზღაურებლად, რომელიც დაკავშირებული იყო სასამართლოში სამართალწარმოებასთან. მოთხოვნის გასამყარებლად მომჩივანმა წარმოადგინა რამდენიმე საბანკო გადარიცხვის დოკუმენტი, რომელიც ასახავდა, რომ რამდენიმე მესამე პირმა თანხა ჩაურიცხა მის ერთ-ერთ ადვოკატს.

70. მთავრობამ განაცხადა, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებები იყო არასაკმარისი; მომჩივანმა ვერ წარმოადგინა მის ადვოკატთან გაფორმებული ხელშეკრულების ასლი. მან ასევე ვერ დაასაბუთა მის მიერ სავარაუდოდ გაწეული ხარჯების გონივრულობა. ნებისმიერ შემთხვევაში, მთავრობამ განაცხადა, რომ სამართლებრივი ხარჯები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ეროვნულ დონეზე, იყო დაკავშირებული მომჩივნის წინააღმდეგ განხორციელებულ სისხლის სამართალწარმოებასთან და არაფერი ჰქონდა საერთო კონვენციის მე-3 და მე-5 მუხლების საფუძველზე სასამართლოში მის მიერ წარდგენილ პრეტენზიებთან.

71. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, მომჩივანი უფლებამოსილია ხარჯების ანაზღაურების მიღებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნაჩვენებია, რომ ეს ხარჯები ნამდვილად და აუცილებლობიდან გამომდინარე და გონივრული ოდენობითაა გაწეული (იხ. *Merabishvili v. Georgia* [GC], N 72508/13, § 370, 2017 წლის 28 ნოემბერი).

72. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანს არ წარმოუდგენია არც ერთი სამართლებრივი ან ფინანსური დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა, რომ მან გადაიხადა ან სამართლებრივად იყო ვალდებული გადაეხადა ის თანხები, რომლის ანაზღაურებასაც ის ითხოვდა. აღმოჩნდა, რომ ის ხარჯები, რისთვისაც მან წარმოადგინა დამატებითი დოკუმენტაცია, იყო გადახდილი მესამე პირების მიერ. ამ მესამე პირებთან მისი ზუსტი კავშირი დაუდგენელია და არ არსებობს არანაირი საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ის სამართლებრივად ვალდებულია აანაზღაუროს აღნიშნული ხარჯები. აქედან გამომდინარე, სასამართლო ვერ დაადგენს, რომ ეს ხარჯები გაწეული იყო მის მიერ (იხ. *mutatis mutandis*, *Öztürk v. Germany* (მუხლი 50), 1984 წლის 23 ოქტომბერი, § 8, სერია A, N 85; და *Metodiev and Others v. Bulgaria*, N 58088/08, § 59, 2017 წლის 15 ივნისი). აღნიშნულიდან გამომდინარე, მომჩივნის მოთხოვნა ხარჯებთან დაკავშირებით, სრულად უნდა იქნას უარყოფილი.

### C. საურავი

73. სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ საურავის განაკვეთი განისაზღვროს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრულ სასესხო განაკვეთით, რომელსაც უნდა დაემატოს სამი პროცენტი.

ამ საფუძველით სასამართლო ერთხმად

1. *უერთიანებს*, საქმის არსებით მხარეს მთავრობის პრეტენზიას, რომ კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებული მომჩივნის საჩივრები არის მიუღებელი შიდასამართლებრივი დაცვის საშუალებების არამოწურვის გამო და უარყოფს მას;
2. *აცხადებს*, კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე წარდგენილ საჩივარს მისაღებად, ხოლო საჩივრის დანარჩენ ნაწილს მიუღებლად;

3. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ნაწილი;

4. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის არსებითი ნაწილი;

5. ადგენს

(a) სამი თვის განმავლობაში მოპასუხე სახელმწიფო ვალდებულია მომჩივანს გადაუხადოს 10,000 ევრო (ათი ათასი ევრო), რაც გათავისუფლებული იქნება ყველა გადასახადისაგან, რომელიც შესაძლოა მომჩივანს დაეკისროს, გადახდის დღეს არსებული კურსით, ეროვნულ ვალუტაში, მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით;

(b) ზემოხსენებული სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, თანხის სრულ გადარიცხვამდე, გადასახდელ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება სამი პროცენტი;

6. უარს ამბობს მომჩივნის მოთხოვნაზე სამართლიანი დაკმაყოფილების დანარჩენ ნაწილში.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და მხარეებს ეცნობათ წერილობით 2019 წლის 27 ივნისს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე წესის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

მილან ბლაშკო

განმწესრიგებლის მოადგილე

განა იუდკივსკა

თავმჯდომარე